



1960  
თბილისი პარტი  
გაორცევილ XXXVIII წელს, ფასი 2 მან.  
№ 6


„მას ტანსა კაბა ემოსა,  
კარე—თმა ვეფხის ტუავისა“

ნახ. გ. ფირცხალავასი

ყველაფერს თავისი ფუნქცია და დანიშნულება აქვს, მაგრამ დღემდე ჩემთვის გაუგებარია, თუ რა მოვალეობას ასრულებენ ტაქსებზე დადგმული მრიცხველები. რაც ხნის ვარ, ზღაპრებშიც არ გამიგონია, რომ ტაქსის მძღოლს მრიცხველის მათემატიკური ვარჯიშისათვის მიექციოს ყურადღება და მისი მონაცემების მიხედვით მიეღოს ფული.

ზუსტ მექანიზმებსა და ხელსაწყოებს უსიტყვოდ უჯერებენ ადამიანები. ასე, მაგალითად, თუ დილის 8 საათია, არავინ არ იტყვის 12 არისო. ამ მხრივ გამოწვევის, რატომღაც, მხოლოდ ტაქსის მრიცხველი შეადგენს. მას ისე აქვს დაკარგული ავტორიტეტი მძღოლთა თვალში, რომ გლახა ბუღალტერივით ჭკუას არავინ ეკითხება და არც არაფერს უჯერებენ.

ამას წინათ რაიონიდან ჩამოვედი და სადგურიდან ვა-



# ა ვ ს მ რ ი ს ე ს ი

კეში ტაქსით მომიხდა გამგზავრება. გზაში განუწყვეტელივ ისმოდა მრიცხველის მონოტონური ჩხაკუნის და ამ ხმაზე 10-10 კაპიკი ემატებოდა გადასახდელ თანხას. მე სიამოვნებით მოვიგონე ბავშვობა, სკოლა და მიმატებაში დავიწყე ვარჯიში.

არითმეტიკით ვიყავი გართული, როდესაც სახლის კარებს მივაღექი. მრიცხველს 13 მანეთი და 40 კაპიკი დაეწერა. რადგან ხურდა არ მქონდა, მძღოლს ორი ობოლი თუმნიანი მივაწოდე (ისი-

ნი იყვნენ ჩემი ჯიბის უკანასკნელი ბინადარნი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ). მძღოლმა უსიტყვოდ გაისტუმრა ისინი ჯიბისაკენ, საჭეს დაუბრუნდა და ორივე ხელით მაგრად ჩაბლუჯა. ამას მოჰყვა რამდენიმე წუთიანი მუნჯი სცენა და, როდესაც საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ხურდის დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, უხალისოდ დავტოვე მანქანა.

მივდიოდი სახლისკენ და თან ვფიქრობდი: რისთვის არის ტაქსებზე მრიცხველები? რა დანიშნულება აქვთ მათ?! იქნებ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს ჰგონიათ, რომ მძღოლებს ხურდა ფულით აქვთ სავსე ჯიბეები და არც ერთ მგზავრს მანამდე არ გაუშვებენ მანქანიდან, სანამ კუთვნილ ხურდას კაპიკობით არ ჩაუთვლიან ხელში.

ნათქვამია, კაცს თავს სჭირდნენ და ის კი გაიძახოდა—ფრთხილად, მუწუკი არ მატკინოთო. მრიცხველის მიერ კეთილსინდისიერად აღრიცხულ კაპიკებს ვინ დაეძებს, როცა ტაქსის მძღოლებს 5-10 მანეთიც ებატარავენათ თვალში. მათ დიდი ხანია დაივიწყეს მანქანაზე დადგმული მრიცხველის არსებობა და სულაც არ აინტერესებთ რას წერს ის, ან რამდენს წერს, ანდა, საერთოდ, წერს თუ არ წერს.


მართალია, ტაქსებს სიმბოლოდ ჰადრაკის დაფები აქვთ გვერდებზე დახატული, მაგრამ, რატომღაც, დღემდე გათამაშებული პარტიებიდან დაშამათებული ყოველთვის მგზავრები რჩებიან და მოგება მძღოლებს რჩებათ.

მე საუკეთესოდ შევისწავლე ზოგიერთი მძღოლის

ფსიქოლოგია და კარგად ვიცი რა რეაგირებას ახდენენ ისინი, როცა «ძუნწი» მგზავრი, მაგრამ ტერმინით რომ ვთქვამ, «უსინდისოდ» იტყება და მრიცხველის მიერ უზაროდ დაწერილი თანხის ზევით 3-4 მანეთის მეტს არ იხდის. დავუშვათ, მაგალითად, მრიცხველმა 10 მანეთი და 50 კაპიკი დაწერა და შენ კი 15 მანეთი გადაუხადე მძღოლს, ის ამ შენს სიკეთეს ერთი სიტყვით «მდათი» აღნიშნავს და ამით დამთავრდება ყველაფერი. სულ სხვა იქნებოდა, რომ 15 მანეთის ნაცვლად 13 გადაგხადათ. მაშინ მძღოლი ერთს შემოგიბღვერდათ და ბუზღუნით დასძრავდა თავის «მერანს». დავუშვათ, 12 მანეთი გადაგხადათ, მაშინ, მძღოლი, ბუზღუნთან ერთად, თავისი ლექსიკონიდან ამოღებული მარგალიტებით ისე შეგამკობდათ, რომ, თუ მეზობლები მოისმენდნენ ამ ლოცვა-კურთხევას, იმ უბანში ცოლის შერთვის ყოველგვარი იმედი დაკარგულად უნდა ჩაგეთვალიათ.

მე აღარაფერს ვამბობ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მგზავრი უსულო მრიცხველს ბრმად უჯერებს და ზუსტად მისი არითმეტიკის მიხედვით იხდის ფულს. სამაგიეროდ სულიერი არსებისაგან ისეთ მრავალსართულებს მიიღებს, რომ შერბილებულ ფორმებშიც შეუძლებელია მისი გამოცემა. ბოროტი ვნები ამბობენ, რომ ზოგიერთი მძღოლი მადლობასაც კი ეუბნება მგზავრს, თუ ის ისეთი ვაჟკაცი აღმოჩნდა, რომ მრიცხველის მიერ დაწერილ თანხას სამზე, ან ოთხზე ამრავლებს და ისე იხდის ფულს.

ასეთი მდგომარეობის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: არის თუ არა საჭირო ისეთი ხელსაწყო, რომელსაც ჭკუას არავინ ეკითხება და, თუ ვინმემ განიზრახა, ათასში ერთხელ, მის ავტორიტეტზე დაყრდნობით ფულის გადახდა, შეურაცხყოფას ვერ ასცდება. დასკვნა ერთია: ან უნდა მოიხსნან ტაქსებზე დადგმული მრიცხველები, ან არადა, სასწრაფოდ აღუდგინონ დაკარგული ავტორიტეტი.



ნახ. ე. ბერძენიშვილისა

— ხურდა არა მაქვს და მეორედ ავწონით, ქალიშვილი!



ზოგიერთ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვის დროს დაბალი ხარისხის სათესლე მასალას იყენებენ.

— მთელი დღე დავდივარ ნახნავში და ხეირიანი ხორბალი ვერ მიპოვნია სახლში წასაღებად!

გასაღები! ამ ლითონის პატარა ნაჭერს რამდენი სიკეთე და რამდენი უბედურება მოუტანია კაცობრიობისათვის, რამდენი ერი მიწასთან გასწორებულა, რამდენი ქალაქი დაცემულა და ნაცარტუტად ქცეულა გასაღების გამო. რამდენ მეციხოვნეს მორჩილების ნიშნად ქალაქის გასაღები ჩაუბარებია გამძვინვარებული დამპყრობელისათვის. გასაღები იყო და დარჩა სიმტკიცის, მორჩილების, შეუვალობისა და ლალატის სიმბოლოდ. გასაღები არის ყველაფრის გასაღები. ამიტომ გასაღების გასაღებას არაფერი უდგას წინ და იგი ყველაზე უფრო საღებია გასაღების ბაზარზე. ქალაქის გასაღებმა დალუბა თბილისი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს და ოთახის გასაღებმა დამლუბა მეც, როდესაც ოთახის კარი ღია დამხვდა, ხოლო ოთახი ცარიელი. აქედან გამომდინარე, გასაღები არის პური ჩვენი არსობისა. პურს რომ გასაღება სჭირდება ეს ისტორიულად ცნობილი კატეგორიაა, მაგრამ, პურს თუ გასაღები სჭირდებოდა, ეს უკვე აღარ ვიცოდით და გავიგე მაშინ, როდესაც № 78 პურის წერტში ნაყიდ პურში გასაღები ვიპოვე. ამის გამო მითხრეს, პირზე ბოქლომი დაიდო და მოკეტეო. მიუხედავად იმისა, რომ გასაღები ჩემს ხელთ იყო, მე მაინც ვერ მოგვეტე, რადგან წარმოვიდგინე, რა უბედურება შეიძლება მოყვეს ამ გასაღების დაკარგვას. გარდა ამისა, მეც



აღამიანი ვარ და მეც გამიხარდება თუ პრესაში ასეთი სათაურის ქვეშ: „კეთილშობილური საქციელი“, — წავიკითხავ ჩემს გვარს, სადაც ეწერება: „მოქალაქე ამან და ამან, № 78 პურის წერტში ნაყიდ პურში იპოვა გასაღები. მან გამოიჩინა იმხელა კეთილშობილება, რომ ეს გასაღები არ შეჭამა და წარუდგინა რედაქციას. ამ დღეებში გასაღები გადაეცემა პატრონს, ხოლო მის მპოვნელს სახალხოდ გამოეცხადება სასტიკი მადლობა“.

ვხელმძღვანელობ რა ზემოაღნიშნული კეთილშობილური პრინციპებით ვაქვეყნებ პურში ჩაკირული გასაღების ფოტოს.

ძვირფასო მკითხველო, დააკვირდი, შეიცანი, იქნება შენია. ვინ იცის, ახლა შენ უგასაღებოდ დარჩენილი დადიხარ თბილისის ქუჩებში და ღამეს საღდაც ღობის ძიწში ათევ. ამის წარმოდგენა მკლავს მე.

აღამიანებო, იყავით კეთილშობილები, არასდროს არ შეჭამოთ პურში აღმოჩენილი სხვისი გასაღები. მოიქეციოთ ჩემსავით და თქვენ დაგაფასებთ საზოგადოება. იცოდეთ, კეთილშობილება არის ქვეყნად ყოველი სიკეთის გასაღები.

კეთილშობილური გასაღებავილი

თიანეთის ჩაიონის ბევრი კლუბი და ხაზლითიქა დაქარავებულ ხაზლებშია მოთავსებული. ზოგიერთი მთავანის ერის მტკიცედ იცავენ ძალბეზი.



ნახ. ღონისა  
— თუკ, მე პურს ვაჯავუფდებ ძალბეზი და შენ შხად იუკა იქნებ შეასწარი კლუბში.

**მივიწყებული**

**ხემათი**

ყოველ ვახაფხულზე თველ მამიდა სოლისკენ მივებზავრება. ამ მარტსაც აიკია გულ-ნაბალი.

— შენი ქობინე, ჩემო თველ, ა, ის წერილი, სადგურზე რომ ვახველა, ჩავედ ფოსტის ყუთში, — შეიხვეწა მეზობელი კატო.

— კი, გენაცვალე, მავას როგორ დავზარდები, — დაამიფა თველემ და ბარათი კაბის ჯიბეში ჩაიღო.

აი, მისწვილებმა თველ მამიდა სად გუნაჩდ მიაცილეს, ჩასვეს ვაგონში, გადაკოცნეს და გამოემწვიდობინ. მაგრამ ბარათი? არც კი ვახსენებია, ჩავეი ქუთისში, იქაც დავეწყდა წერილი ჩაგდება ყუთში, ჩავედა ონი, აიცი იქ ვახსენებია. ახლა უკვე სოველია, ტრიალებს ხან მოსტანში და ხან ბაღში, ბარათი თან არ ახსეს და არა.

გედავ ერთი თვე, მეოთხე და თქვენი სისხლიერლო ცნობა მოვიღე: მისი მისწვილი ცოლს ორთავდა და ახა რალა გააძლიბინებდა სოველი. სასწრაფოდ გააძაზდა საგვალა და საჩუქრები, უფინია ვაჩნდა ონიმ, გულგრილდ აუკრა გვერდი ფოსტის ყუთს, ცოცა ხანკი და თვი უკვე ავტობუსში, კვლავ ქუთაისი.

წერილი ისევ ჯიბეშია ურგავი. ისევ მარტინდზე და თბილისი. თველ ხის ჩემიდანზე და ელდელმა ტაქსის გამოჩინეს. აი ტაქსი, იგი სასწრაფოდ წამოვლიდა და... თავში მაგარი დარტყმა იგრანო, კინაღამ წონასწორობა დაკარგა, აიხდდა და რას ხედვს, საფოსტო ყუთში და უკვე თველს ტყვიებშია გაფარა, გვიღიბდა, ხელი შევახვერდ წილი ჯიბისკენ და ფერადასული ბარათი ჩაველო ყუთში.

ცოცა არ ფოს, მესხივრება დალალტობს ამ ბოლო ღღრის თველ მამიდას.

**ს. პატარაძე**



ნახ. ზ. წერეთლისა  
კიდევ იტყვიან ელექტროენერჯის მოპირეწომა ხარჯებისათვის არ იხრებიათ!

**ქიროსი ქველი**

**მისა**

ზოგი სარკმლის მინა გადაადკვეცეს წასვლად, კარზედ მიგრავი სტუმრებს მოვარგევენს სამ-სამად.

**ხალტურის მისუპარუსი**

შენი კერძი მინანა, რაც არ უნდა ელავდეს, ვის რად უნდა, მამია, ტაქსებია უკლამდე!

**რითად**

რომ ვატყუაქსე ავტო, გული ვაეპო სოლი, ახანისა და ზაზანს რითად მოვიღის ცოლი?

**ზ. ზვალნიძე**

**სუქი მისი**

**მისხვერპლი**

— უფრე ვაჩრებრებო—რატომ ვეწერო მე ზესის ცილილ ვედაფერს ვაგამოზო.

ორი კვირის წინ ამ ხნის კაცი ტრამვაის შუგაბტი. სასამარში მავიანდებოდა და ანან გამახვედა. ვაგონარე თუ არა მუხელებში, პირგადარ ჩვეს ზესის შუგეწელო, შიღერებს, თანვე იტყობ... შუგე ერთბაშად წაბი შუგარა და სეროზულიდ მიზინა:

— მოქალაქე, რატომ არღვევი წესისკენ! ხში იცილ ზესის ხასიათი, ისეინარად ზურბის, რომ ვარგეშე პირს ადვილად შუგეწან შევდამოში. მაგრამ მე ხში ხეთი თითოიგი მყავს იგი შუგეწელო და, ცხა-ლია, მისმა რუბლკამაც გულანად გამაცი-ნა.

— აქ სასაცილო არავიციო—მნა აღი-მავლა ზესის... მისი მავტრ, რომ ახალკარ-რები დატეწული, თვითინ აძლევდი ცხდ მაკვლის!

უჩრებულად მიმოვიხედე. მეგონა, რომ ბესო ზურბოთი მუხენდობდა ამს. მუხე-რებმა გაიგონეს და, ვაგონო, დანარტყ-დენ ჩვენი საუბარი.

— გათუფი ერთი, თუ ცაკა ხარ.—ჩერ-ჩეული ვუთხარი ზესის.—ხომ ხედავ, ვე-სმეწე.

— ძალიანაკატი, რომ ვასმეწენ.—მო-გემა ამ ღღრს. ოავი ავუე და, როცა სრულიად უტრები ტალის გამოშფუვე შუგარს წავაწელო, ავეწე:

— ეს თვენი საწე არ ვახავი!

— ცდები, ვაგატონი! იღიავ რომ ჩემი საწეა, რადგან მე დედა ვარ და შე-ვლებს მისაველა მარტებზე.

— მადლობა ბებრის, თვენი შვილი არა ვარ.

— გრატეწელო, მოქალაქე!—დამშაგე-ლა ვიდე ამანანა მოუგნა და ცქირიღან უტრან მოკვლედა.—ხომ ხედავი, რომ დედა-მანავა ხარ; ვარტობი და ბოდილი მოი-ხადე. მანდლისანს მანვე უღარ ავეწენი შუგარეწევის!

ბესო კატანავი ვაიტრინა, ხვას აღი-რეხდა, მსი შერე გამოროლილი ნავერ-ქული ორგანად ვიფედებოდა.

— დედა ათხედა ვინმე ჩანს,—დაასკენა ერთმა.

— თავებზე ხმა მემპიბა—ვაგებზე მოცე-ვაგებში ჩოქილანა იმბა და მალე ერ-ისწამებ რიანველში გაღიპარდა.

— ნეტავ რას ელოდავებო!

— ვაგარე ტრამვა!

— მიღილეს ღრმებში!

ვიღაცამ ზანს ხელი ჩამოხკრა. ვინჯავრა თავაყუფული მეზურები მილოცოდს უს-მობდენ!

— ამის შუგეშე ზესისათვის ხმა არ ვა-მცია. საწე ამ თვეთზე მანეში რილია, რაც ვარბოში ვაგებხადე, არ მსაკვედრ-ნი, რომელიდ რიანველში გაღიპარეს ნა-ხვეარი საათის დავიგანახსათვის. საწურია მხოლოდ ის, რომ აღიწეული უსამოწუნება ჩემი აბლო მეზობისაგან შემხვედა.



— რამდენი წელიწადია, ხევახტი ქუჩაში ვავლიდო არ მინახავს, აღმათ, რაინონი მუხაობდე!  
— არა, კეთი, ახამდე მსუბუქი მანქანით მგზავრებოდა და ქუჩაში ვავლიდს საიდან ნახავდი!

**მისხვერპლი**

ხარს ვაგოსთან ერთი ჩასუქ-ბული ძია მიზედა და შინდღვირი ჩუხერი ფესკამელები მოიტანა შე-საკეობად. იმავე დღეს ერთი მან-დლისანაც იმავე კარზე. ქმრის ფესკამელები მოიტრანა. ისევ ჩუხერი, იმავე ზობის, ფრისი ვან-სეკელებზე შოღელად. ხარსთან შეკეთი ორთავი და თარიღ დაწე-უ. შუგარ დღეს ჩაგეწელებს ძამა მოკვლანა. ხარსს ადგობა დეგარა და ოპაროზე არინა. ძამა ფესკამე-ლები ვაგებოლი, ერთი საათი პალ-ტოს სარტელად აბრილი. ძველები ვაგახავა, ვაგებში ვაგახა. შეკე-ბული ჩავეა და წაიდა. მიკვირე-ნი მანდლისანი მიზედა ვეგოსთან, ხარსმა მოწეწეობი მართავა ფე-სკამელები. მანდლისანმა შეკეობ-ტა და ეთელო.

— მისწელო, ცალ-ცალი ფესკამე-ლები ქმარი დამხარბობს.

— დავეწერა ვაგო, სახელონი ვა-დავქე. მაგრამ მანდლისანის ქმრის ფესკამეებს ცალი ვერსად მოუტრანა. ცუცხ ჩასუქებული ძია მოკვირდა და მანდლისანი დამწეწეობა ერთი კაცი თვი. იმასაც ამანათი ფესკა-მელი შევეწელო. აღმათ შევსალა, ცალ-ცალი წაიღო და დააბრუნებო. ვაგედა ერთი დღე, ორი, თვე, ორი თვე ვაგოს მოხეზრდა მანდლის-

ნის წიფელ—კვილი და ფესკამე-ლისა საფასური ვაგებხადე. ურგებმა დაფებნა, თვეები მინაც დააწედა ჩასუქებული კაცის მილიდონში. სა-დაა, რად არ მიღის! აღმათ მიცე-და ახა. თუ ცოცხალი, რად უნდა ცალ-ცალი ფესკამელები უტრისი და შეუტეხებო! ხარსა და ზოლი დროს შემ-ქეში ურგებმა დანდ-დაკველა-ვაგებოლებს არა უტრედა, ფრეშ რომ არ შევებო.

ერთადღე ხარსმა სახელონი კა-რი ვადასა. ტრანა ვაგედა და უტრკად თვალებში ნავრეწელები ფესკამელები... აგერ შინდღვირი სახელონი ციყე ვაგუსწერი, მალე აიხედა და, რას ხედავა—ჩასუქებუ-ლი კაცი!

— ვაგარე, რას დაეღია პირი და მომეწეობისან—ვაუწერა ჩასუ-ქებული ძია და ცალ-ცალი ფესკამე-ლები ფლამეწე ახავეწენა.

— თუ, თუ,—უტყრა ხარსმა, კაცმა მოუტრდა, მაგრამ ხარსმა უტრ მო-ყდა დაღილს—არა ძამო, არა, ვე თუ ვერ ამწეწე, მე ჩა მწეწელებმა! მავსაც ფული ვაგებხადე!—უწე-რობდა ხარსმა და თავაქმობი-ჯული ვარბოდა.

**ახსპაში**

ნახ. ზ. ლეუაგასი.



— შვილო, ეს ქვითარი კარგად შეინახე, იქნებ შენ მაინც მოესწრო ჩვენი სახიკაძულო მწერლის ყველა ტომის გამოცემას.

**მ ქ რ მ უ ა ნ ე ლ თ ა**

**დაწივიზნეულო**

გაზაფხულზე, თუ თბილისში გაგივლიათ, შეამჩნევდით უსათუოდ თქვენ ამ სურათს! პაწაწინა, ოქროყანის ყვავილია, ძალაქში რომ „უგიზიციოდ“ შემოსულა.

ღუვასებში აპკოლიან კოჭრის ნიავს, ყვავილთაგან გაუძარცვათ ოქროყანა. თესვისთვის თუ ჰგონია მილიციას და თავადაც „უჯლის“ ცნობილ „განდვანა“-ს.

ს. აბაიუზილი

მას შემდეგ, რაც ჩემი ოცნების საგანი დამთანხმდა და ერთად გვევლო ცხოვრების ვიწრო მსუქებსა თუ შარაგზაზე, ბევრი აღარ მიფიქრია და ერთ დღეს საკუთარი ფაქსიმიუთი დავადასტურებ ჩვენი შეუღლება.

ჩემი ბედნიერება ასე დაიწყო.  
— მე დილით თორმეტ საათზე ვდგები.—მითხრა ჩემმა საუნჯემ. არ მესიამოვნა, მაგრამ არაფერი მიტყვამს. მეორე დღეს ჩემი თანამეცხედრე ორ საათზე აბრძანდა, (მე მართლაც არაფერი მიტყვამს, მაგრამ, დედაჩემს რომ არ ესიამოვნა, სახეზე აშკარად შევატყვე).

ეს ამბავი რამდენიმე თვეს გაგრძელდა.  
მაგრამ ჩემს ნებიერ ქალბატონს ბოლოს ესეც მოხერხდა.  
— კიმ, ხედავ, ვერ ვიღვიძებ დილით, ვითომ რა მოხდება, როცა ადგები, მეც გამაღვიძო?  
— ეგლა მაკლია, — ვუბასუსებ მე. წაგკინკლავდით და სალანდღავ-საალერსო ლექსიკონიდან რამდენიმე სიტყვა ერთხელ კიდევ გამოვამზებურეთ.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემს მეორე ნახევარს გადაჭრით ვუთხარი:  
— უკვე დროა იფიქრო ოჯახზე, დამირეცხო, დამისუფთაო, დამიუთოვო, საუზმე გამიმზადო.  
— ამდენ ხანს ვინც გირეცხავდა, გისუფთავებდა, გიუთოვებდა და გიმზადებდა საუზმეს, ისევ იმან მოგიაროს! — წამოიძახა თანამეცხედრემ.  
— აბა რისთვის მოგიყვანე? — წამომცდა მე.  
— რაო? — ჯერ გაცეცხლდა, ტირილი აუვარდა, მერე ისტერიული კვივლი გააბა.  
მე ბავშვობიდანვე გულგრილი ვიყავი ცრემლების მიმართ და არც ახლა დამიყრია ფარხმალი.  
— მე მეგონა ყველაზე მეტად გიყვარდი, ამიტომ გამოგყევი, თორემ მთხოვნელების მეტი რა მყავდა. მე ცოლად გამოგყევი, მოსამსახურედ კი არა, — სლუკუნებდა გულამომჯდარი.  
იმ დღეს სამსახურში უგუნებოდ ვიყავი. საღამოს, ცხელ გულზე, რესტორანში გავყევი ძმაკაცებს. რა თქმა უნდა, სახლში გვიან დავბრუნდი, მაგრამ შექვიფიანებული.  
— სად ბრძანდებოდი, ვაჟბატონო?! — დამისვა გამანადგურებელი კითხვა ცოლმა.  
— ირონიებს თავი დაანებე და ისე მელაპარაკე!  
— პირდაპირ ბასუსხ თავს არიდებ, არა? სად იყავი? ვინ იყო შენთან ერთად და ჰყავთ თუ არა იმათ პატრონი?  
მე ჩამოვთვალე ჩემი ამხანაგების სახელები. საუბედუროდ, ერთი მათგანი ცოლგაშვებული იყო.  
— რა საქმე გაქვს ცოლშიტოვებულ კაცთან? რა საერთო გამოინახე მასთან? იქნება ჩემი გაშვება გინდა და გამოცდილებას გიზიარებს?  
ასეთი დასკვნის გაკეთებას არ მოველოდი, იმ დღეს ჩემი ცოლი თავის დედასთან წავიდა, ალბათ, იმ იმედით, რომ ვეახლებოდი და უკან წამოვიყვანდი, მაგრამ მე სრულიად გულგრილად შეგვგედი ასეთ გამოცდას, მეოთხე დღეს თვითონ მოვიდა.  
— რაო, გვარიშვილობას ჩამოგართმევდნენ, რომ მოსულიყავი, თუ რა?...  
— თუ ჩემთან ცხოვრება გინდა, შენს სახლში დაეტიე და ოჯახს მიხედე, — წავილაპარაკე გაბრაზებულმა და წიგნის კითხვა დავიწყე.  
— მე ნერვებს მიშლი და შენ წიგნს კითხულობ? პირდაპირ გამაგიჟებს ეს კაცი, — თქვა ეს, წიგნი ხელიდან გამომტაცა და გაანჩხლებულმა ოთახის კუთხეში გადაისროლა.  
გავიდა ხანი. ვიღაც ახალ მოდაზე შეკრეჭილთმიანმა გოგონებმა იწყეს ჩემს სახლში სიარული. ასეთი ლამაზმანების ნახვა, უნდა გამოგტყდეს, გულის კუნჭულში კიდევაც მესიამოვნებოდა ხოლმე, მაგრამ ერთ დღეს, სახლში რომ მივედი, ვნახე, გოგონებიცა და ჩემი ტურფაც პაპიროსს აბოლებდნენ და, რა თქმა უნდა, ისევ ვიჩხუბეთ.  
— მსგავსი რამ აღარ განმეორდება, — მითხრა ცოლმა.  
მეც დავიჯერე და შევრიგდით, მაგრამ, საუბედუროდ, რამდენიმე თვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ, არათუ პაპიროსის წვეა შეეწყვიტა, კონიაკის და ლიქიორის სმაც დაეწყო. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ, იმ საღამოს, როცა ეს აღმოვაჩინე, ბიჭურად თმა-შეკრეჭილი, პომადით მოთხუპნილი და შარვალში გამოწყობილი დამხვდა. ავენთე და აი, ყოველივე ის, რამაც ჯერ გაზეთის რედაქციაში მიმარბენინა და ცნობილი პიროვნება გამხადა და შემდეგ სასამართლოში ამომაყოფინა თავი.  
ახლა კიდევ იტყვიან სიყვარული ადვილია და საყვარელი არსება ძნელი გასაძლელი არ არისო?!

მ. ქაჩანდლიანი

### ზრანული იუმორი

მომხმარებელმა ანტიკვართან ბიუსტი ნახა.  
 — ეგ დანტონია,—აუსხსნა ანტიკვარმა.  
 — თავი მიწებებულია, შეკეთებული ყოფილა!  
 — ჭკმარტივად, დანტონს ხომ გილიოტინით მოჰკვეთეს თავი.

\* \* \*

ახალგაზრდა ქალს მარჩიელმა სასიამოვნო ამბავი უწინასწარმეტყველა:  
 — მოკლე ხანში მდიდარი, ახალგაზრდა, გავლენიანი ლამაზი მამაკაცი გითხოვს.  
 ქალს ბედნიერებისაგან თვალში გაუბრწყინდა, მაგრამ უეცრად მოიღრუბლა და მარჩიელს ჰკითხა:  
 — ახლანდელ ქმარს რა ვუყო?

თარგმანი გ. კალანდაძისა

### კეთილშობილური ბაკმიტილი

ქალი ტრამვაიში ავიდა. ყველა ადგილი დაკავებული იყო. ერთმა მოქალაქემ ქალს დაუთმო ადგილი. ქალი უხმოდ დაჯდა. მაშინ მოქალაქემ მოუბრუნდა და უთხრა:  
 — ქალბატონო, ხომ არაფერი გითქვამთ?  
 — არაფერი, მუსიო.  
 — ბოდიში... მე მეგონა მადლობა მითხარით.

### დიდი მოგება

— თუ ლატარიაში ბევრს მოვიგებ, ახალ კაბას ვიყიდი,—უთხრა ცოლმა ქმარს.  
 — თუ არაფერი მოიგე?—ჰკითხა ქმარმა.  
 — მაშინ ახალი კაბა შენ მიყიდე!

თარგმანი რ. მეგრელიშვილისა

### ინგლისური იუმორი

— თავდაყირა რომ ვდგები, თავი სისხლით მეგუნება. რატომ ფეხებშიც არ მიდგება სისხლი?  
 — იმიტომ, რომ ფეხები ცარიელი არ გაქვთ...

\* \* \*

— ექიმო, მიშველეთ, გამტანჯა ამ თვალებმა.  
 — მოითმინეთ, ქალბატონო, უთვალეზოდ უფრო გაიტანჯებით.

\* \* \*

ერთმა ჯენტლმენმა, რომელიც დიდი ქალაქის ცენტრში იყო თავისი ცოლითა და შვილით, გადასწყვიტა ტაქსით წასულიყო შინ.

— რამდენად წაგვიყვანო ამა და ამ უბანში?—კითხა მან ტაქსის მძღოლსა და თავისი უბანი დაუსახელა.

— ორ დოლარს გამოგართმევთ თქვენ და თქვენს მეუღლეს, ბავშვებს უფასოდ წავიყვან, — მიუგო მძღოლმა.

ჯენტლმენი მიუბრუნდა ბავშვებს და უთხრა:  
 — აბა, შეცვივდით, თქვე ჭინკებო, მანქანაში და მისრიალდით სახლში. მე და დედიკო მეტროთი წამოვალთ.

თარგმანი გ. დოლიძისა

### გერმანული იუმორი

როდესაც პირველკლასელი პეტერი პირველ დღეს სკოლიდან დაბრუნდა, დედამ ჰკითხა: მასწავლებელი როგორ მოგეწონაო?  
 — ძალიან მომეწონა, დედიკო, — მიუგო პეტერმა, — მაგრამ ყველაფერი არ დაეჯერება. ჯერ თქვა: სამი და სამი არისო ექვსი. მერე ამბობს: ორი და ოთხი ექვსიაო.

\* \* \*

სკოლიდან დაბრუნებულ ოტოს მამამ ჰკითხა: — რა ამბავი იყო დღეს სკოლაში, მასწავლებელმა ხომ არ გამოგიძახა?

— ოო,—თქვა ბიჭმა ამაყად, — მე დღეს ერთადერთმა ვუბასუხე მასწავლებლის კითხვაზე.  
 — მართლა! — ესიამოვნა მამას. — რა გკითხა?  
 — ფანჯარა ვინ გატეხაო.

თარგმანი შ. ამირანაშვილისა

### პოლონური იუმორი

ბიესა პრემიერაზე ჩავარდა. ფოიეში სეირნობისას ღრამატურგმა მეგობარს ჰკითხა:

— რას ფიქრობ ჩემს ბიესაზე?  
 — მე ფიქრობ, რომ შენ უკეთ იგრძნობდი თავს, ეს ბიესა ჩემი დაწერილი რომ ყოფილიყო და არა შენი.

\* \* \*

სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში სანიტარი კოლეგებს შეხჩივის:

— ო, ღმერთო, რატომ საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე არ დავიბადე!  
 — რატომ?

— გადავრჩებოდი ამდენ ნაპოლეონს...

თარგმანი ხტ. რავიჩისა



უტექსტო ხუმრობა ურნალ „კატუსიდან“

### სტუმან ლიმოჯი

### იდეალური ინტაქტული ულილეს მსახიობთან

საკუთარი პორტრეტებით მორთულ კაბინეტში იჯდა დიდი მსახიობი. მუხლებზე თავისი სურათი ედო და ჩაშტერებოდა. კარგა ხანს ვერ შეგვამჩნია, ბოლოს თავი ასწია.

— კიდევ ინტერვიუ? — წამოიძახა კმაყოფილმა.  
 — დრამის რომელ სახეში ვლინდება თქვენი გენია, ტრაგედიაში თუ კომედიაში?

— ორივეში. ჩემი გენია მოითხოვს ტრაგედიას და კომედიას ერთსა და იმავე დროს... ახლა ახალი ჰამლეტი უნდა წარმოვადგინო. დღემდე მას შავ ხავერდში გამოწყობილს წარმოადგენდნენ... შავ ხავერდში ჰამლეტი სასაცილოა.

— თქვენ როგორ წარმოადგენთ?  
 — ყავისფერ ხავერდში.  
 — ღმერთო ჩემო! ეს რევოლუციაა.  
 — დიხანც რომ ასეა! ეს ჩემი კონცეპციის ერთი მხარეა, მეორეა ჰამლეტის ფსიქოლოგია.

— როგორ გადმოცემთ ამას?  
 — მოქმედებით. აიღეთ ცნობილი მონოლოგი «ყოფნა, არყოფნა». არც ერთი სიტყვა. ყველაფერი სრულდება სამარისებური დუმილით. გამოვდივარ მაყურებელთა წინაშე და წარმოვთქვამ მონოლოგს აი ამგვარად. უყურეთ ჩემს სახეს.

მან ჩვეული ბოზით მკერდზე ხელები გადაიკვარედინა და სახეზე ემოციის, ექსპრესიის, იმედის,

ექვისა და სასოწარკვეთის ალტყინებამ გადაუქროლა.

— აიღეთ ცნობილი სცენა, სადაც ჰამლეტს ხელთ უპყრია თავის ქალა და წამოიძახებს: „საბრალო იორიკ“. მე სულაც არ ვიყენებ სიტყვებს. მღუმარედ დავატარებ თავის ქალას. ვყვრდნობი სვეტს და შევცქერი ქალას, შემდეგ მარჯვნივ გადავსერავ სცენას, ვჯდები ხის სკამზე, ვრჩები ერთხანს ასე და ვუმწერ თავის ქალას.

— სასწაულებრივია.  
 — შემდეგ ვიჭრები სცენის სიღრმეში, მუცელზე ვწვიბი, ხოხვით მივიწვევ წინ და ფეხებისა და მუცლის მოძრაობით ვხატავ საბრალო იორიკის მწუხარე ისტორიას.

— ეს რევოლუცია კი არა, აღმოჩენაა! — წამოვიძახეთ ჩვენ.  
 — უწოდეთ ორივე, — თქვა დიდმა მსახიობმა.

— გამოდის, რომ თქვენ სულაც არ ვიჭრებოთ შექსპირი.

— ჭეშმარიტად, მე მხოლოდ, მაგიწროებს შექსპირი. ის, რის გადმოცემასაც მე ვცდილობ, ნამდვილადაა არა შექსპირი, არამედ რაღაც უფრო დიადი, როგორ ვთქვა. უფრო გრანდიოზული, ფაქტიურად მე...

თარგმანი გ. გაჩეჩილაძისა

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე,

ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. კელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 8-76-69, ხაერთო განყოფილების — 8-10-49.

გამომც. № 6. ხელმოწ. დასაბ. 15/III-1960 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შტ. № 362 უფ. 00584. ტირ. 45.000



ნახ. გ. ლომიძისა

ფრანკო ნატოს კარებთან

- ნატო დეიდასთან მიწააა!
- შებენი, ცოცხა, დედ-მამით ოგოლია.

